ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4033865

ნომერი: AR1605275

თარიღი : 01.06.2018

გაცემის თარიღი : 25.06.2018

გაცნობის თარიღი : 25.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 51 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 53;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯონი საჯაია პ/ნ 29001010539
- ჯავახეთის ქ. 9კ. ბინა1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636068 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 01 ივნისს №AR1605275 განცხადებით მომართეს ჯონი საჯაიამ და ვაჟა მოდებაძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636068 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636068 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, თევდორე მღვდლის ქუჩა N51/ ქალაქი თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა N53-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.007.022), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი I, ბლოკი"ბ") კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 25 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

სამსახურის 2018 წლის 25 აპრილის №3928685 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636068 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636068 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1638.3კვ.მ-ის ნაცვლად 1615.9 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 473.8კვ.მ-ის ნაცვლად 496,2 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636068 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636068 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 1615,9კვ.მ, დამხმარე ფართობად 496,2კვ.მ.

2.სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636068 ბრძანებით შეთანხმებული არასრული სართულის +51.25 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს 2018 წლის 1 ივნისს №AR1605275 განცხადებაზე წარმოდგენილი +51.25 ნიშნულის გეგმით.

3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636068 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;

4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636068 ბრძანებასთან ერთად.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.